საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 559 2025 წლის 27 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

2025 წლის თებერვალში დასავლეთ საქართველოში დიდთოვლობის დროს სტიქიასთან ბრძოლაში აქტიურად ჩართულ საქართველოს ზოგიერთ სამინისტროში, მათ დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებსა და მუნიციპალიტეტების შესაბამის ორგანოებში დასაქმებულებზე ფულადი ჯილდოს/დანამატის გაცემის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოუყოს 3 161 682 (სამი მილიონ ას სამოცდაერთი ათას ექვსას ოთხმოცდაორი) ლარი, მათ შორის:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – 892 445 (რვაას ოთხმოცდათორმეტი ათას ოთხას ორმოცდახუთი) ლარი;

ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს – 697 226 (ექვსას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ორას ოცდაექვსი) ლარი;

გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს – 585 770 (ხუთას

ოთხმოცდახუთი ათას შვიდას სამოცდაათი) ლარი;

დ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს – 113 563 (ას ცამეტი ათას ხუთას სამოცდასამი) ლარი;

ე) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს – 79 409 (სამოცდაცხრამეტი ათას ოთხას ცხრა) ლარი;

ვ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – 253 372 (ორას ორმოცდაცამეტი ათას სამას სამოცდათორმეტი) ლარი;

ზ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – 96 623 (ოთხმოცდათექვსმეტი ათას ექვსას ოცდასამი) ლარი;

თ) ვანის მუნიციპალიტეტს – 95 000 (ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი;

ი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტს – 77 037 (სამოცდაჩვიდმეტი ათას ოცდაჩვიდმეტი) ლარი;

კ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – 76 288 (სამოცდათექვსმეტი ათას ორას ოთხმოცდარვა) ლარი;

ლ) ბაღდათის მუნიციპალიტეტს – 53 550 (ორმოცდაცამეტი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარი;

მ) ჭიათურის მუნიციპალიტეტს – 45 573 (ორმოცდახუთი ათას ხუთას სამოცდაცამეტი) ლარი;

ნ) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – 40 158 (ორმოცი ათას ას ორმოცდათვრამეტი) ლარი;

ო) ტყიბულის მუნიციპალიტეტს – 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარი;

პ) ხონის მუნიციპალიტეტს – 18 668 (თვრამეტი ათას ექვსას სამოცდარვა) ლარი.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე